პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ოთხშაბათი 25 აგვისტო № 199 (16629) ფასი 2 კაპ. 1976

„სალუტ-5“: ემზადება დედამიწაზე დაბრუნებისათვის

ფრუნზის მართვის ცენტრი, 24 აგვისტო (საკადრო). სადაც არის დამთავრდება ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტ-5“-ის ეკიპაჟის ფრენა. მთელი დახარული პროგრამა უკვე შესრულებულია. მიღებულია მეცნიერული და ტექნიკური კვლევის თვისებრივად ახალი შედეგები. გუშინ ინფრაწითელ ტელესკოპზე მუშაობით დამთავრდა უკანასკნელი ექსპერიმენტები. ეკიპაჟი შეუდგა ოპერაციებს, რათა სადგური ფრენის ავტომატურ რეჟიმში გადაიყვანოს და ატმოსფეროში. ამისთვის ... ბორტინჟინერ ... ბორტზე გადაიტანეს ფოტოაპარატები, ...

იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა უმნიშვნელოვანესი ამოცანები

იდეოლოგიური მუშაკების რესპუბლიკური თათბირი

(დასასრული)

წარმო ის არის, რომ საიჯარო ორგანიზაციების არასტაბილური და შეუთანხმებელი მუშაობა ხშირად არათუ არ იძლევა გადიდებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, არამედ ხშირად შლის ადგილ მშენებლობა მუშაობის გრაფიკს. რა დიდ ეფექტს მოგვცემდა, ყველა მიმწოდებელი და მომიჯნავე რომ მონაწილეობდეს შრომელთა შესაბამისი კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებაში!

ამ ბოლო ხანს, თქვეს თათბირზე, ბევრი რამ გაკეთდა წარმოების მოწინავეთა წასახალისებლად. რესპუბლიკაში შრომელ ადამიანთა რიცხვიდან აღორცმის საუმეტესო პროპაგანდისტები, ხელმძღვანელი მუშაკები ატარებდნენ, ნაყოფიერად მუშაობენ კომუნისტური შრომის სკოლები. საღლისოდ ავტონომიურ რესპუბლიკაში 270 ასეთი სკოლაა, რომლებშიც 6 ათასი მსმენელია. ასეთ სკოლაში, რომელიც ბათუმის ნაეთობგადამმუშავებელ ქარხანაშია, პოლიტიკური ცოდნის გამდიდრებასთან და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებასთან ერთად, მსმენელები ხვეწავენ თავიანთ პროფესიულ ოსტატობას. ამ სკოლაში მეცადინეობა ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდას, კონკრეტულად ითვლება შრომის მაჩვენებლებით.

დიდად პოპულარულია სახალხო უნივერსიტეტები. მაგალითად, აფხაზეთის ამს რესპუბლიკაში 25 ასეთი უნივერსიტეტია. ისინი ითვალისწინებენ აუდიტორიის თავისებურებებს და ინტელიგენციის ფართო ფენებს აკანონებენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, სკკპ XXV ყრილობის მასალებს.

ამასთანავე თათბირზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ზღვრმალიზმის, უპასუხისმგებლობის ელემენტები, პროპაგანდისტული მუშაობისადმი უსულგულო დამოკიდებულება, რაც აქვეითებს მარქსისტულ-ლენინური სწავლების ქმიდითობას, ადამიანების გონებასა და გრძნობაზე ზემოქმედებას. ზოგიერთ რაიონში — მაიაკოვსკის, ბოგდანოვკის, წალკის, ხობის, შუახევისა და თიანეთის რაიონებში ვვიან დაიწყეს ყრილობის მასალების შესწავლა, ზოგან, იმის გამო, რომ მსმენელები არ გამოცხადდნენ, საბოლოო მეცადინეობა არც კი გამართულა. როცა მოსახლეობა ინფორმირებული არ არის, ეს ხელს უშლის მის მკაფიო პოლიტიკურ ორიენტაციას.

იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობისადმი ასეთი დამოკიდებულება, გველენას იხდენს სამეურნეო საქმიანობაზე. შემთხვევითი არ არის, რომ მაიაკოვსკის რაიონში ხუთიდან ერთმა კოლმეურნეს ვერ გამოიმუშავა კაცდღეების საგალდებულო მინიმუმი.

ამ ბოლო დროს, აღინიშნა თათბირზე, რამდენადმე გამოცოცხლდა სალექციო პროპაგანდა. მაგრამ ლექციების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრია სტაქანურობის ელემენტი, არ სწავლობენ საკითხს, მიაღწია თუ არა ლექციამ თავის მიზანს. ბოლო ენდა მოეღოს ფორმალიზმს, ღონისძიებათა მოწყობას მხოლოდ ანგარიშვებისათვის, პროპაგანდისტული მუშაობა უფრო მიზანდასახული და ქმედითი უნდა გახდეს. საჭიროა თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესება, რადგან მას ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ სათანადო ეფექტიანობით.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ შეუორგანებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ყოველნაირ ფორმალიზმსა და უსულგულობას, მეცადინეობის მოწყვეტას რესპუბლიკის, კოლექტივის კონკრეტულ ამოცანებისაგან. პროპაგანდისტებმა, აღნიშნეს ორატორებმა, პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ არა მარტო იმისათვის, რომ მსმენელებს შეძატონ პოლიტიკური ცოდნა, არამედ აგრეთვე მათი საწარმოო საქმეებისათვის, შრომის ნაყოფიერებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ტექნიკურ სიახლეთა შეკვნისა და დანერგვისათვის. თათბირზე მოყვანეს მახარაძის რაიონის სოფელ გალმა დეკაბუში იდეოლოგიური მუშაობის დიდი ქმედითობის მაგალითი. აქ მოულოდნელად დაიკადა თუთის ხეები და საფრთხე შეექმნა აბრეშუმის პარკის წარმოების გეგმის შესრულებას. მაშინ კოლმეურნეობის პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ფეხზე დააყენეს თანასოფლელები და შეასწავლეს აბრეშუმის ჭიის მოვლის სეიფთესო მეთოდები. ამის შედეგად აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

მალე სწავლა დაიწყება პოლიტიკური განათლების წელში. საჭიროა სერიოზულად მოვემზადოთ სასწავლო წლის დაწყებისათვის.

პარტიული სწავლებისა და მასობრივი პროპაგანდის მთავარი ამოცანაა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების („სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები სამეურნეო და საგარეო პოლიტიკის დარგში"), „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების", სკკპ XXV ყრილობის, ავგუსტე სეკრეტარის კომპარტიის XXV ყრილობის მასალების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესწავლა. პარტიული სწავლების სისტემაში შემოღებული იქნება სპეციალური კურსები: „საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკა", „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა", „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალური პრობლემები SKKპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა მიხედვით".

ყრილობის მასალების შესწავლა ახალ სასწავლო წელს მარტო ამ სპეციალური კურსებით როდი ამოწურება. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა ყრილობის გადაწყვეტილებების და დოკუმენტების შესწავლა პარტიული და ეკონომიური სწავლების სისტემაში მოკმედ კურსებთან ორგანულ კავშირში. ამ მიზნით ახალი სასწავლო წლისათვის ყრილობის მასალების საფუძველზე გადამუშავებულია, კერძოდ, ეკონომიური განათლების სისტემის სწავლების პირველი და მეორე ციკლის პროგრამები.

მეთე ხუთშაბათი — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთშაბათი თავისებურებათა გათვალისწინებით ფართო შესწავლისათვის რეკომენდებულია კურსები: „სოციალიზმი და შრომა", „საინჟინრო შრომა სოციალისტურ საწარმოებში", „ხელმძღვანელის შრომა". მათი ძირითადი შინაარსია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მისი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა SKKპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მთელი იდეოლოგიური მუშაობის მაგისტრალური ხაზია, აღინიშნა თათბირზე, ადამიანთა კომუნისტური მსოფლმხედველობის. მაღალი იდეურობის. კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდა.

ეს მეტად რთული პროცესია, აღნიშნეს ორატორებმა, და მას მაარტო დღეგანდელი დღის პოზიციებიდან როდი უნდა ეუდგებოდეთ. საჭიროა უფრო გაეაღრმაოთ ადამიანთა ფსიქიკის გარდაქმნის პროცესი, რომელიც ახლა რესპუბლიკაში მიმდინარეობს, რადგან საიდუმლოება არ არის, რომ კერძომესაკუთრული გაწმენდილებებით მოწამლული ზოგიერთი ადამიანი ახლო წარსულში ობივატელურად, მომხმარებლურად ეკიდებოდა ცხოვრებას.

ჩვენი საზოგადოების მთელი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, ბოლო წლების პოზიტიური ძვრები ხელს უწყობს ასეთი მეშჩანური კერძომესაკუთრული ტენდენციების მხილებასა და დაგმობას. იდეოლოგიურმა მუშაკებმა ერთმანეთს უნდა შეეხმარონ იდეოლოგიური და ზნეობრივი, შრომითი აღზრდა, ამამაღლონ მშრომელთა იდეური რწმენა, ჩაუნერგონ მათ კომუნისტური იდეალების ერთგულება. მოქალაქეობრივობა, გააქტიურონ საზოგადოების თვითეული წევრის პოზიცია, მისი მონაწილეობა საერთო აღმშენებლობის შრომაში.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიეაღწევით იმას, რომ თვითეული მშრომელი პირად ინტერესებს დაუმორჩილებს საზოგადოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესებს, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, დაისახავს მაღალ მიზნებს, შეიძლებთ იმ დიდი ამოცანების შესრულებას, რომელიც პარტიამ დაგვიკისრა.

თათბირის მონაწილეებმა გენსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მოზარდი თაობის აღზრდის საკითხს. წარსულის ნეგატიურმა მოვლენებმა განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინა სწორედ მოზარდი თაობის. იმ ქალაშვილებისა და ბიჭუკების ფსიქიკაზე, რომელთა პიროვნება, მოქალაქეობრივობა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. ამიტომ მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანი ის უნდა იყოს, რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინდიფერენტობა, ნიჰილიზმისა და ცინიზმის ელემენტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახასიათებს ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს.

მოზარდ თაობასთან მუშაობა საბავშვო ბაღში. სკოლაში უნდა იწყებოდეს. ჩვენი ახალი თაობა კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვრო რწმენით, საზოგადოების, ხალხის, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით შეიარაღებული უნდა გაიზარდოს. ყოველი ახალი თაობა თავის აგურს უნდა ეშტატებდეს კომუნიზმის ამ დიდ შენობას, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ.

ახალგაზრდობას უნდა გზრდიდეთ ჩვენი ხალხის საბჭოლოვანი რეიოლუციური და შრომითი ტრადიციებით. სოციალისტური სამშობლოსათვის, თამბისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლის მაგალითებით, საკუთარი მაგალითისა და განსაკუთრებით კომუნისტების, შრომის ვეტერანების, წარმოების მოწინავეების პირადი მაგალითის ძალით.

აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას ახალგაზრდის პიროვნების ჩამოყალიბებაში. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს შეუპოვარი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების, ახალგაზრდობაზე მისი გავლენის გავრცელების წინააღმდეგ, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიას უნდა დაეუპირისპიროთ კომუნისტური იდეალების, სოციალისტური წყობილების იდეალ ჟამრნსაბრძნი. მისი ჰუმანურობის პროპაგანდა. აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კონტრპროპაგანდის გაძლიერებას. კერძოდ, ტელევიზიის, რადიოსა და პრესის საშუალებებით.

ამ ბოლო დროს, აღინშნეს ორაორატორებმა, რესპუბლიკაში შეიშნეოდა ფიზიკურ-სპორტული მოძრაობის ერთგვარი დაქვეითება. პარტიული ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები სათავეში უნდა ჩაუდგნენ რესპუბლიკის სხვილოვანი სპორტული ტრადიციების აღორძინის საქმეს, ფართოდ ჩაბან ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობა, სპორტი ვამოიყენონ როგორც ჯანსაღი, მხნე, ჰარმონიულად განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდისა და ფიზიკურ-ეკონომიური ამოცანების ერთ-ერთი.

ბევრი შემთხვევაში, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, შემოქმედებითი საკითხების გადაწყვეტისას საჭიროა პრინციპოვნობა. ზოგიერთი შემოქმედებითი ადამიანი ხშირად ამბობენ ზოგიერთ ადამიანებზე, ეს ადამიანები ეკონომიურ-ეკონომიურ ორიენტაციას. ამ დროს კი, მაგალითად, ქალაქ თბილისის მოწინავე შემოქმედებითი მუშაობის თეორიულმა სემინარმა სკკპ XXV ყრილობის მასალებს მხოლოდ ერთი მეოთხედი მოიძღვნა. სიერთოდ წლის მანძილზე სემინარს ნაკლებად ესწრებოდა ხალხა, თუმცა მის თემატიკას თითქოს არავინ უნდა დაეტოვებინა ვეულგარული, როგორც ჩანს, კულტურისა და ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწე გადაჭარბებით ფასობს თავის პოლიტიკური და პროფესიული ცოდნას. სამწუხაროა, ეალეკიული იდეურ-მხატვრული ხარვეზებიც მათს შემოქმედებაში და მათი საჯარო გამოსვლები სულ სხვას გვიფიქრებინებს.

სკკპ XXV ყრილობამ, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, დადებითი შეფასება მისცა რესპუბლიკის შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დარგში პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას. ეს იმაზე შედეგია, რომ ამის შესახებ ეროლოდან მოგვითითა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ თვეის დადგენილებაში.

ითქვა, რომ ბოლო ეღება ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ცალკეული გამოვლინებიბს, ისტორიული მოვლენების შეფასებისადმი არაკლასობრივი მიდგომის, ეთნიურობის გამოვლინების, პატრიარქალიზმის ხოტბის თაქრეს.

თათბირზე ორატორებმა მიაღანეს რამდენიმე მაგალითი, როცა ადგილობრივ ფაქტებს მოხერხებულად ეყენებდნენ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით შრომელთა ინტერნაციონალიზმის საქართველოს ეროვნული ეროვნული ეკონომიკა. ეს მუშაობა ყარაგა არაა წარმართული, მაგალითად. სოხუმის სამეურეალო თავრიკაში, საღაც 15 ეროვნების წარმომადგენლობა მუშაობენ, ქალაქ ბაგრის ზონის კოლმეურნეობა „ეროვნებრობაში". აქ 50-მდე ინტერნაციონალ ძალა ბოლო წელიწადში მოაწყო ორასზე მეტი საუბარი, და ლექციი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შესახებ. პოლიტგანათლების საოლქო სახლში კითხულობენ ლექციათა სპეციალური ციკლი, რომელიც ეძღვნება ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით გაშუქებას.

მაგრამ ინტერნაციონალური აღზრდის სფერო, აღინიშნა თათბირზე, პარტიული ორგანოების ბოლმეი ზრუნვას. საო მიღგომას, სისტემატურ და გამიზნულ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას მოითხოვს. აქ შეიწყნარებელია ეკმაირეული შეცდომები, უნდა გამიეყენონ ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდი თაობის ინტერნაციონალური აღზრდის ჩვენს არსებულში არსებული ფორმები და მეთოდები.

გამოსულები აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მწერალთა მერეკეყრილობაზე ეროვნ ჯიგარიდან გამოხდომის შესახებ, რომელმაც ადამხინჯა ცალკეული ფაქტები და ჩითდა, თითქოს ჩვენს დღეებში დიდმპყრობელური ხასიათის ზეგავლენის ახალენდნენ ქართულ ენასა და სხვა ეროვნულ ინსტიტუტებზე, იმ გამოხდომის შესახებ, რომელსაც თანგრძნობით შეხვდა ეუდიტორიაში შემთხვევით მოხვედრილი საზოგადოების ნაწილი. ამ გამოხდომების ეტაწეფარი, არაჯანსაღი განწყობილებები ამითაც ვამოვლინდა, რომ მგზნებარე ემოციებით „იღვწოდნენ" რა ქართული ენის დასაცავად, მათ არსებითად ლაპარაკის საშუალება არ მისცეს დედაენის ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებელს, რომელიც ყრილობაზე ამოვიდა და რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების დიდნნშენელოვანი პრობლემები ზოძრა. როგორც ჩანს, არის რაღაც ანონზომიერება ამაში. რომ ეროვნული კარდაზშოლობისა და შეზღუდულობის მქადაგებლებად, როგორც წესი, გამოდიან უვიცი. დაბალი საერთო კულტურისა და ცოდნის მქონე ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ, ან არ სურთ დაინახონ რა გრანდიოზული ტემპით ვითარდება შინაარსით სოციალისტური, სულისკვეთებით ინტერნაციონალური და ფორმით ეროვნული ქართული საბჭოთა კულტურა. მათ ოდნავადაც კი არ ესმით ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერის ეკეშმარიტ აყვავებას, ჩვენი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აყვავებს საბჭოთა წყობილების მადლიან პირობებში, სსრ კავშირის ყველა ხალხს შორის, დიდ ძურს ხალხთან ძმდმეგი კავშირის, ეროვნიერთდაზმარებისა და ერთმანეთის საქმეებით დინჯრირესების პირობებში.

ორატორთა გამოსვლებში დიდი ყურადღება დაეთმო რუსული ენის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ისეთი ენის შესწავლის გაუმჯობესების პრობლემებს, რომელმაც ასობით პატარა ხალხი და ერი ახიარა მსოფლიო კულტურის საგანძურს, გააძლიერა ქართული საზოგადოებრივი და მეცნიერული აზრი. საერთოდ ქართული ეროვნული კულტურა. მუდმივად ვზრუნავთ რა რუსეთის ბელიკის სასწავლებლებში მრავალეროვანი ქართული ენის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამასთანავე ეროვნიულად უნდა ვიზრუნოთ რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისთვისაც.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა შემოწმებული და გამოწრთობილია სოციალიური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მრავალი წლის ფრთხმელი ბრძოლებში და ჩვენ ყოველნაირად განვამტკიცებთ ხალხთა ძმურ მეგობრობას, როგორც კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი წარმატების საფუძველს.

თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების საკითხები. გაზეთ „პრავდის" მოწინავეში ნათქვამი იყო, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, რომ „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება უწინარეს ყოვლისა მოწმობს, რაოდენ სასარგებლოა კრიტიკული მიდგომა საკუთარი საქმეებისადმი".

სწორედ ეს არის ივნისის დადგენილების დამრაზმველი რული. მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი ეტიკეტი და ენთუზიაზმი შემატა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მთელ საქმიანობას, ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი. პრინციპული, საქმიანი კრიტიკისგ და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება. მასზე ბოლშევიკური რეკომენდაციებია. მისი ქმედითობისა და ეფექტიანობის ამაღლება — ეი პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანების გადაწყვეტის წარმატებათა საწინდარი. გადაჭრით უნდა ვთქვა შეშრეთ იმათ წინააღმდეგ. თქვეს ორატორებმა, ვინც ჯეროვნად ვერ აფასებს ბოლშევიკურ კრიტიკასა და თვითკრიტიკას — ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეტაყარ იარაღს, კადრების წრთობისა და აღზრდის ნაკად საშუალებას.

თათბირის მონაწილეებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ პასუხსაგებ ეტაპზე რესპუბლიკის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები თავიანთი წმინდა მოვალეობის თანახმად მთელ ძალღონეს მოახმარენ პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. (საქინფორმი).

მარსელინო კამაჩო — საქართველოს სტუმარი

თბილისში ჩამოვიდა ამხანაგი მარსელინო კამაჩო — მუშათა კომისიების სამდივნოს მუშაობისათვის პასუხისმგებელი პირი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი, რომელიც სსრ კავშირში საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით იმყოფება.

24 აგვისტოს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნების — ბ. კვაჭაძისა და ლ. ხარბედიას შეხვედრა ამხანაგ მარსელინო კამაჩოსთან.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეს გულთბილი, გულითადი საუბრის დროს გააცნეს, თუ რა მრავალმხრივ საქმიანობენ რესპუბლიკის პროფკავშირები, რომლებიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ორგანიზატორულ და აღმზრდელობით მუშაობას ახმარენ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ბ. კვაჭაძე სტუმრებს მიესალმა საქართველოს პროფესიული კავშირების სახელით, რომლის შემადგენლობაში ქალაქისა და სოფლის 1.860 ათასი მშრომელი შედის, და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ამხანაგ მარსელინო კამაჩოს იცნობენ როგორც ესპანეთის მუშათა კლასის საქმისათვის გამოცდილ და მამაც მებრძოლს. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდ სოლიდარობას უცხადებენ ესპანელ მშრომელთა სამართლიან ბრძოლას.

მ. კამაჩომ ილაპარაკა მუშათა კომისიების, ესპანეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალებისა და ხალხთა მასების ერთიანობისათვის იბრძვიან.

— ესპანელი მშრომელები, — თქვა მ. კამაჩომ, — უაღრესად მეგობრულად არიან განწყობილნი საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა ადამიანებისადმი. ჩვენ დიდად ვაფასებთ ესპანეთის მშრომელი ხალხის ეიაკაცური ბრძოლისადმი საბჭოთა ადამიანების სოლიდარობას.

მ. კამაჩომ საქართველოს მშრომელებს ესპანელთა სალამი შეუთვალა **და უსურვა დიდი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში.**

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის წევრი ნ. კვეკვეძე.

საუბარს დაესწრნენ საკავშირო პროფსაბჭოს საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგე ნ. ჩერკასოვი, პროფკავშირთა დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).

ხოსე დიასის საფლავზე

თბილისის ვერის სასაფლაოზე განისვენებს ესპანეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ესპანელი ხალხის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, ესპანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ხოსე დიასი.

24 აგვისტოს ხოსე დიასის საფლავი ყვავილებით შეამკო მარსელინო კამაჩომ, ესპანეთის მუშათა კომისიების სამდივნოს მუშაობისათვის პასუხისმგებელმა პირმა, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრმა.

საფლავის ყვავილებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნები ლ. ხარბედია, ბ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის წევრი ნ. კვეკვეძე, თბილისში მცხოვრებ ესპანელთა ჯგუფი. (საქინფორმი).

ორი ინტერვიუ

პაფარეგსა და დიდებზე ზრუნვით

ქალაქელთა ტალღა ზღვის მოქცევისა და უკუქცევის მსგავსად, ზაფხულობით ჯერ სოფლებისა და აგარაკებისაკენ დაიძრება, შემოდგომის დამდეგს კი პირს იბრუნებს და უკან მოეშურება.

წლის დროთა ცვლის ამ გზაჯვარედინზე ჩვენი ცხოვრების ორი მნიშვნელოვანი მოვლენა იყრის თავს — ერთი მოდის — ახალი სასწავლო წელი, მეორე — მიდის — ზაფხულის საგარაკო სეზონი. და აი ნაქალაქო ცხოვრების ამ გარდამავალ პერიოდში რომ არ დაირღვეს ნორმალური მაჯისცემა, რომ ადგილზე ყველაფერი რიგზე დაბვდეთ და ადამიანებმა იგრძნონ ზრუნვა და ყურადღება, ხვედთან ერთად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან ვაჭრობის მუშაკები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

— რა თაღარიბი დაიჭირეთ საამიოდ და რა გაკეთდა?

— ასეთი კითხვით მიმართა „კომუნისტის“ კორესპონდენტმა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ამბ. მ. მეგრელიშვილსა და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. კ. შავიშვილს.

აი რა გვაპასუხეს მათ.

მ. მეგრელიშვილი,

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

ამთელი ზაფხულის მანძილზე, განსაკუთრებით უკანასკნელ თანებში ფართო მოსამზადებელი მუშაობა იყო გაჩაღებული საქართველოს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების კვების ობიექტების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნისა და საერთოდ სავაჭრო ქსელის აუცილებელი და სპეციალური დანიშნულების საქონლით შევსებისათვის.

თბილისელები შეამჩნევდნენ, რომ 15 აგვისტოდან რკინიგზელის კულტურის სახლში და უნივერმაღ „თბილისთან“ გახსნილი ლამაზად, ფერადოვნად გაფორმებული დიდი სასკოლო ბაზრობა, რომელიც სექტემბრის შუაჩიცხვებამდე გასტანს. აქ თითქმის ყველაფერია, რაც ბავშვებსა და მოზარდებს სჭირდებათ — სასკოლო და საკანცელარიო საქონელი, ფორმის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი და გალანტერეა.

სამოკამდე სხვა მაღაზია, სადაც მოწყობილია სპეციალური კუთხეები: „ყველაფერი — მოსწავლეებისათვის“, „ბავშვებსა და სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო ნივთებს, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მრავალფეროვან ასორტიმენტს, ასევეა მრავალ სხვა მაღაზიაში, პავილიონსა და კიოსკში.

სასკოლო ბაზრობები გახსნილია აგრეთვე ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გაგრაში და სხვა ქალაქებში. მარტო ფორმის ტანსაცმელი წლიულს რესპუბლიკაში 20 პროცენტით მეტი იქნება გამოტანილი გასაყიდად, ვიდრე შარშან, შეკერილი ტანსაცმელი — 10-15 პროცენტით, ფეხსაცმელი — 10 პროცენტით მეტი.

დედაქალაქის ზოგადსაგანათლებელო სკოლებსა და ბუფეტებს 80 პროცენტს გაუკეთდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, საზკვების ყველა ობიექტი შეიესო ინვენტარ-მოწყობილობით. სტუდენტთა ქალაქის სასადილოში გაიმართა და სექტემბრიდან ამუშავდება კომპლექსური სადილების გასაცემი ორი მექანიზებული ხაზი, აგეთვე ხაზები იდგმება ზოგიერთ მუშათა სასადილოში, ხოლო თვითმომსახურებისა — სამხატვრო აკადემიაში. რეკონსტრუირებულია თეატრალური ინსტიტუტის კვების ბლოკი.

სხვა სიახლეებიც გვაქვს. მალე საექსპერიმენტაციოდ ჯადაეცემა თანამედროვე სტილის საიავშვო კაფე პლეხანოვის პროსპექტზე; რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნა კაფე „ტურისტი“ პუშკინის ქუჩაზე, მესამე სართული დაიშენდა რესტორან „არაგვს“, სადაც იმუშავებს ღია კაფე-ბარი 250 ადგილით.

კურორტებიდან მოსახლეობის მამობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებით გ. ტაბიძისა და ლენინგრადის ქუჩებზე ყოველ შაბათ-კვირას ეწყობა საქალაქო ბაზრობები. მალე მწყობრში ჩადგება 15 ახალი სასურსათო და სხვა მაღაზია, ხოლო 20 მაღაზია თვითმომსახურებაზე გადავა.

1 სექტემბრიდან მკვეთრად გადიდდება პურ-ფუნთუშეულისა და სხვა საკვები პროდუქტების, ბოსტნეულის რეალიზაცია. დღეში 5-დან 12 ტონამდე გადიდდება მარტო ფუნთუშეულის გამოშვება. აფუშავდება 50-გრამიანი ფუნთუშის ავტომატური ხაზი, რომელიც ცვლაში 50 ათას „დედაქალაქურ“ ფუნთუშას აზადებს; გამოვა აგრეთვე ე. წ. „ქალაქური ფუნთუშა“.

სექტემბრიდან 1.000 ტონით გადიდდება რძის, მაწვნის, არაქანისა და ხაჭოს გამოშვება. წლის დასაწყისში ერთგვარი შეფერხება იყო ყველით მომარაგებაში, ახლა მდგომარეობა თვალსაჩინოდ უმჯობესდება; საკმაო რაოდენობით იქნება ნაყინეცი. ძეხვეული 280 ტონიდან, რომელსაც ყოველთვიურად ვაწვდით ქალაქის ქსელს აგვისტოში, 620 ტონამდე გაიზრდება.

აი მოკლედ რითი ვხვდებით სასწავლო წლის დაწყებასა და მშრომელთა მასობრივ დაბრუნებას აგარაკებიდან.

კ. შავიშვილი,

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ცეკავშირს სისტემის ყველა საცალო და საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ადრევე მიეცათ დავალება, რომ 1976-1977 სასწავლო წლის მომზადებული შეხვედრისათვის დროულად აეთვისებინათ სასკოლო, სამრეწველო ნივთების, კერძოდ, ფორმის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სახელმძღვანელოებისა და სხვა ფონდები.

სასკოლო ასორტიმენტის საქონლის სარეალიზაციოდ სავაჭროებში მოწყობილია სპეციალური სექციები, კუთხეები. საამისოდ წინასწარ შეიქმნა სასკოლო ნივთების მარაგი, სახელმღვრ — ასობით ათასი კოლოფი მოსწავლის კალამი, კალმისტარი, სახატავი რვეული, ცარცი, 14 მილიონი რვეული, ათობით ათასი მოსწავლის ჩანთა, უკვე 1 აგვისტოდან რაიონულ ცენტრებსა და მსხვილ დასახლებებში სასკოლო ბაზრობები გახსნილი. შორეულ სოფლებსა და პუნქტებში კი სასწავლო ნივთებით დატვირთული ვაჭრობა ეწყობა, რომ პატარა მოძმეებმა და მშობლებმა კი არ ეძებონ საჭირო ნივთები, არამედ ნივთებმა მოსახონ ისინი.

ჩვენი სისტემა მოემსახურება 675 ათას მოსწავლეს, მათთვის საკმაო რაოდენობით გვაქვს და ადგილზე შეზიდულია ყველა სახის საქონელი, მათ შორის სამოსწავლო ფორმები, ეროგონების წინსაფრები, და პიონერთა ფორმები.

განათლების სამინისტროსა და მისი რაიონული განყოფილებების განაწილებით უშუალოდ სკოლებში ხდება სახელმძღვანელოების შეტანა და ორგანიზებული გაყიდვა.

ახალ სასწავლო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა და მოსწავლეებს უმასპინძლებს 40 სასკოლო კვების ობიექტი, 1 სექტემბრისათვის 10 სასკოლო სასადილოს კარი გაიღება პატარებისათვის.

სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების — სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტების სასადილოებსა და ბუფეტებში დაწესებული ასორტიმენტით მიიღებენ გათვალისწინებულ პროდუქტებს; კოოპერაციულ ორგანიზაციებს დაგზავნილი აქვთ კომპლექსური სადილების რეცეპტები, დარიგებულია ბონ-ნემენტებიანი კომპლექსური სადილების მისაღებად, განზრახული გვაქვს ბონ-ნემენტების რაოდენობა 3 მილიონამდე აციყვანოთ.

ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას რვეულებზე, განსაკუთრებით საღებო რვეულებზე ფონდები. ასასკმარისად აგრეთვე მოსწავლის დღიურები, ხატვისა და ბაზუის ფურცლები.

შეფერხებებია სახელმძღვანელოების მოწოდებაში. ქართული სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოდან ჩვენთის ჯერ კიდევ არ მოუწოდებიათ 6 დასახელების წიგნი, რუსული სკოლებისათვის — 3, თუმცა ორი-ერთხელ დავსვით საკითხი, მაინც დაგვიანებით ვიღებთ სახელმძღვანელოებს სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის.

არც სასკოლო კვების ორგანიზაციაშია ყველაფერი რიგზე, მაგალითად, ცუდია კვების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყოველ ათას მოსწავლეზე ნორმატივებით გათვალისწინებული დასაჯდომი ადგილების მხოლოდ 17 პროცენტია უზრუნველყოფილი. ბევრს შეუფერებელი შენობა აქვს, არ აქვთ ცივი და ცხელი წყალი.

ცოდნის დიდ გზაზე მიმავალი ჩვენი სოფლის სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების ასი ათასობით მოსწავლესა და სტუდენტს ვცდილობთ ყველა პირობა შევუქმნათ კარგი სწავლისა და აღზრდისათვის.

დიდი ქალაქების კოოპვაჭრობის ქსელი სექტემბრიდან კიდევ უფრო მეტ ბოსტნეულს, ბაღჩეულს, ხილს, აგრეთვე სურსათს შესთავაზებს ხელმისაწვდომ ფასებში დასვენებიდან დაბრუნებულ მშრომელებსა და მათს ოჯახებს.

□ □

მგად ხვდებიან

● **ჯავა.** ქვაისის საშუალო სკოლა (დირექტორი ნ. ჯიოევი) ახალ სასწავლო წელს მომზადებული ხვდება. სკოლაში დიდი ხანია დამთავრდა მიმდინარე რემონტი. ფართო და ნათელი ოთახები, კოხტად ჩარიგებული მერხებით, დიჭრიალებული კაბინეტ-ლაბორატორიები თავიანთ ბინადრებს ელოდებიან.

და ეს დღეც მორს არ არის.

ვ. ხაგალოვი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

საკდესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტები, პრობლემები

24 აგვისტო

სტოკჰოლმის მოწოდების მზარდასაჭირად

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორ მილიონზე მეტმა მოქალაქემ მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას. სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში ახლა მიმდინარეობს კრებები და ხელმოწერათა შეგროვება ამ საშშვიდობო ინიციატივის მხარდასაჭერად.

სტოკჰოლმის ახალი მოწოდების მხარდაჭერის კამპანიას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიენიჭა. მშრომელთა წერილებში, კრებებისა და მიტინგების რეზოლუციებში, რომლებიც ყოველდღე მთელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს, ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ სოციალისტურ ქვეყნებს საბჭოთა კავშირის მეთაურობით გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ ამ გრანდიოზულ წარმატებაში, რომელიც წარმოებს მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის.

სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის ბრძოლის წარმატებით დამთავრებას საქმეში, თქვა ტორნლისტებთან საუბარში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ვ. ირტერმა. სწორედ ამიტომაა, რომ ასე ფართოდ უჭერს მას მხარს მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ხალხიც.

სტოკჰოლმის ახალი მოწოდების ხელმოწერათა შეგროვება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გრძელდება.

რასისტთა სამსახურში

ლუსაკა. ზამბიის დედაქალაქში გამოსვლისას სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტმა სემ ნუიომამ მოიყვანა ფაქტები, რომ ისრაელი და ინგლისელი დაქირავებულნი ფართოდ ებმებიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც ანგოლა-ზამბიის საზღვრებზე არიან განლაგებული და ეწევიან ბრძოლას სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პარტიზანების წინააღმდეგ. სემ ნუიომამ აღნიშნა, რომ ინგლისელი დაქირავებულნი პრეტორიის რასისტული რეჟიმის ჯარებში უკვე ოთხი წელია მსახურობენ. ისრაელი დაქირავებულნი, როგორც სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, სამხრეთაფრიკელი რასისტების „დროშის ქვეშ“ დადგეხ მას შემდეგ, რაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმის მეთაური ფოსტერი ვიზიტით იყო ისრაელში.

ᲔᲥᲡᲙᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ლონდონი. ტელ-ავივიდან მოსული ცნობების თანახმად, ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შ. პერესმა კვლავ მოითხოვა შექმნას ისრაელთა დასახლებანი ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე.

პერესი ცდილობდა თავისი ექსპანსიონისტური მისწრაფება იმით გაემართლებინა, რომ, როგორც მან თქვა, ყოველი ასეთი დასახლების შექმნა „უფრო მეტად დაიცავს“ ისრაელს.

ამგვარი „სასოფლო-სამეურნეო“ დასახლებების ხასიათზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ თავდაცვის მინისტრის იმ სიტყვებით, რომ ახლანდელ პერიოდში, როგორც „არც ომიანობა ეთქმის და არც მშვიდობიანობა“, ისინი „სახელმწიფოს თვალებს, ყურებსა და ფეხებს წარმოადგენენ“. იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობა დამყარდა, დასძინა პერესმა, ურიგო არ იქნება, თუ ზოგიერთი ებრაული დასახლება არაბეთის ტერიტორიაზე დარჩება.

პერესმა აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი ამერიკელ ხელმძღვანელებთან ერთად განიხილეს და მას დადებითად შეხვდნენ.

ᲙᲐᲜᲙᲐᲛᲙ — ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ

პროტესტები ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ

პანამა. პანამელი ხალხი მზარს უჭერს ჩილელ პატრიოტთა ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ და თავის გულისწყრომას გამოთქვამს ხუნტის ტერორისა და თვითნებობის გამო, განაცხადა პანამის ჩილესთან სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარემ რაულ როლანდომ.

დედაქალაქის ეროვნულ უნივერსიტეტში, ქვეყნის საწარმოებში ეწყობა ჩილელ პატრიოტებთან შეხვედრები, სახსრებს აგროვებენ ჩილეს პოლიტპატიმრებისა და მათი ოჯახების ფონდისათვის.

